განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
27.11.18

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი**
განათლებისსაფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში 020303
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხათუნა საგანელიძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია დაღელიშვილი, გრ.რობაქიძისუნივერსიტეტი,საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი გაგუა დავით გაგუას კლინიკა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მიხელიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციისექსპერტთაჯგუფისშემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მიერ, აკრედიტაციის სტატუსის უწვტობის მიზნით წარმოდგენილ იქნა განახლებული სამაგისტრო პროგრამა „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“, რომელიც აკრედიტირებული იყო 2011 წელს და მას შემდეგ განიცადა რიგი ცვლილებები. ამჟამად წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიხედვით კურსდამთავრებულს ენიჭება მხოლოდ ერთ კვალიფიკაცია, ნაცვლად არსებული ოთხი მიმართულებისა, ასევე ცვლილებები შევიდა პროგრამის მიზნებსა და სწავლი შედეგებში, სადაც მკაფიო აქცენტი გაკეთდა ჯანდაცვის სფეროსთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების განმავითარებელ სასწავლო კომპონენტებზე. შესაბამისად, შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა, კომპონენტების შინაარსი და რესურსები, რომლებითაც შესაძლებელი გახდება ახლებურად განსაზღვრული მიზნის და სწავლის შედეგების მიღწევა. გარდა სტრუქტურის ცვლილებისა, შეიცვალა რიგი სასწავლო კომპონენტების შინაარსი (სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლების პარალელურად), საათობრივი დატვირთვა და კრედიტების რაოდენობა. შესაბამისად, შეიცვალა სწავლებისა და შეფასების მეთოდებიც.
სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის:

- სავალდებულო კურსების ბლოკი - 60 კრედიტი
- არჩევითი კურსების ბლოკი - 30 კრედიტი
- სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი - 30 კრედიტი

სწავლების ბოლო სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროექტზე/ნაშრომზე მუშაობას, რომლის ფარგლებში პრაქტიკული კვლევის საფუძველზე სტუდენტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ჯანდაცვის სფეროს პოლიტიკასა და მენეჯმენტში არსებულ აქტუალურ პრობლემას/გამოწვევას და ახორციელებს პროექტს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციისვიზიტიგანხორციელდა 2018 წლის 27 სექტემბერს 09.20-დან. ვიზიტი მიმდინარეობდა წინასწარშეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. გაიმართა შეხვედრებიუნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისხელმძღვანელთან , დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან,პროგრამის სტუდენტებთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან. შეხვედრები მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის და დისკუსიის ფორმატში. დაწესებულების მხრიდან ექსპერტთა ჯგუფისთვის შექმნილი იყო ადექვატური სამუშაო გარემო.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

1. **„საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობის“ სტანდარტის თანახმად, უნდა აღინიშნოს რომ** პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, მიმართულია დარგში ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის

მომზადებისკენ და შეესაბამება უნივერსიტეტის, მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები, ასევე, დარგისდა საზოგადოების განვითარების მოთხოვნები. პროგრამაში ასახული შედეგებიშეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და უნარებს, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური;შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები; პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის, შესაბამისად ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთანდადარება. უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ნიშნულები საკმაოდ მაღალ მოთხოვნებზეა გათვლილი, რაც დიდი გამოწვევაა.

2. **„სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“ სტანდარტი.**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.პროგრამის დახვეწის და განვითარების პროცესში გათვალისწინებული იყო უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. კერძოდ, გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები, რომელიც მოიცავს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და მასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 120 კრედიტი, სადაც

- სავალდებულო კურსების ბლოკი - 60 კრედიტი
- არჩევითი კურსების ბლოკი - 30 კრედიტი
- სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი - 30 კრედიტი

სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, პროგრამა თავისი სტრუქტურით: მოდულებით, სწავლების მეთოდებითა და რესურსებით იმგვარადაა ორგანიზებული, რომ შესაძლებელს ხდის სტუდენტს განუვითაროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა დარგობრივი (თეორიული თუ პრაქტიკული) და ზოგადი კომპეტენცია.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა“ სტანდარტი**

სტუდენტი იღებს,სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე , აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტები. მაგისტრანტებს ხელმძღვანელობენ კვალიფიციური კადრები.

4. **„სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“ სტანდარტი.**

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კველევებსა და კონფერენციებში. პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

5. **„სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები“ სტანდარტი**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნვეოყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მონაცემებზე და მტკიცებულებებზე დაყრდნობით პროგრამის გაუმჯობესებისათან დაკავშირებული პროცესების ადმინისტრირების უზრუნვლეყოფის მიზნით გამოიყენება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები.

- **რეკომენდაციები**

1. სასურველია საგნებს გააჩნდეთ დაშვების წინაპირობა, ვინაიდან პროგრამა აგებულია ცოდნის დაშენების პრინციპზე და სასწავლო კურსები არ წარმოადგენენ იზოლირებულ სასწავლო კურსებს;
2. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დახვეწის მიზნით სასურველია ყველა სტუდენტი ფასდებოდეს ინდივიდუალურად, კერძოდ ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას შემუშავებული იქნას სტუდენტის ინდივიდუალური მიღწევების შეფასების კრიტერიუმები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - პროგრამში მიღების წინაპირობაში მითითებული ფორმულირების ‘პროგრამაზე სწავლების უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის (სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო ბიზნესის, ეკონომიკის ან მედიცინის მიმართულებით) მქონე პირს“ დასაკორექტირებელია, ვინაიდან მედიცინა არ წარმოადგენს საბაკალავრო საფეხურს.
  - სასურველია საგნების განაწილების ლოგიკური თანმიმდევრობა ისე იყოს დალაგებული, რომ გამორიცხავდეს სხვადასხვა კურსების სწავლების პროცესში საკითხების გადაფარვას.
  - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სილაბუსებში სასურველია მიეთითოს თანამედროვე ლიტერატურა
  - გადაიხედოს სასწავლო კურსების კრედიტების განაწილება

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ბიზნესის სკოლას შემუშავებული აქვს პროგრამის თითოეული შედეგის პერიოდული შეფასების გეგმა, რომელიც ერთიმხრივ, ითვალისწინებს და ეყრდნობა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს: პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით თითოეული კომპეტენციის გაზომვას, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეული პერიოდულობით თითოეულ თემატურ ბლოკში შემავალ კურსთა მიხედვით, სტუდენტების აკადემიური მიღწევის საშუალოს გაანგარიშებას. ამ გზით, ბიზნესის სკოლა ყოველი საანგარიშო წლის დასასრულს დაადგენს განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესაბამისობის პროგრესიას.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სამაგისტო პროგრამის მიზანია მოამზადოს ჯანდაცვის სისტემების გამოწვევებსა და ცვალებად ბიზნეს გარემოზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც პასუხობს სფეროს მზარდ მოთხოვნებს, და ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის სფეროში მიღებული ღრმა და სისტემური თეორიული, ემპირიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე: • იმოქმედებს, როგორც ეფექტური და დამოუკიდებელი მენეჯერი ჯანდაცვის სექტორში არსებულ ყველა რგოლში; • დამოუკიდებელად უზრუნველყოფს ორგანიზაციის სტრატეგიულ დაგეგმარებასა და მის იმპლემენტაცია/განვითარებას; • კვლევის და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტების გამოყენებით, დამოუკიდებლად მოახდენს ჯანდაცვის კომპანიის/ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მათ ეფექტურად გადაჭრას; • პროფესიულ და აკადემიური სფეროში შეძლებს მონაცემებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებებისა და შედეგების დასაბუთებას/დაცვას. სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს და გულისხმობს კვალიფიციური, ეთიკური და კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნების უნარის მქონე პროფესიონალის ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე და წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში, გახდება ცოდნასა და ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრი და შეძენილი ცოდნითა და განვითარებული უნარებით შეძლებს საზოგადოების ფორმირებასა და განვითარებაში საკუთარი როლის გაცნობიერებას, არამედ ღირებულებების დამკვიდრების პროცესში წვლილის შეტანაზე ორიენტირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *საგანმანათლებლო პროგრამა* • *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2* • *ბიზნესის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა*

- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ილაის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლას შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და მათ შორის თითოეული კომპეტენციისათვის სასურველი ზღვრული ნიშნული (B შეფასება A-დან), რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და მეორე მხრივ, აძლევს შესაძლებლობას სწავლა განაგრძოს საქართველოში ან საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე. ამასთან, განისაზღვრა კომპეტენციებზე დაწესებული ზღვრებისათვის უახლოესი ხუთი წლის მანძილზე მისაღწევი სასურველი სამიზნე ნიშნულები (50-60%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და დიდი გამოწვევაა უნივერსიტეტისთვის.

ასევე წარმოდგენილია პროგრამის თითოეული შედეგის/კომპეტენციის პერიოდული შეფასების გეგმა, რომელიც ერთი მხრივ, ითვალისწინებს და ეყრდნობა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს: პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით თითოეული კომპეტენციის გაზომვას, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეული პერიოდულობით თითოეულ თემატურ ბლოკში შემავალ კურსთა მიხედვით, სტუდენტების აკადემიური მიღწევის საშუალოს გაანგარიშებას. ამ გზით, ბიზნესის სკოლა ყოველი საანგარიშო წლის დასასრულს დაადგენს განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესაბამისობის პროგრესიას.

წარმოდეგნილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური, შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციის დონეს და ჩაშლილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერის მიერ დადგენილი ექვსი კომპეტენციის მიხედვით, რაც მოიცავს როგორც ფართო თეორიული ცოდნისა და დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციების გაცნობიერებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. მიმართულია არსებული ცოდნის გაღრმავების, პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარებისკენ. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

პროგრამების შედეგების ფორმიერებაში ჩართულები იყვნენ დაინტერესებული მხარეები:კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, ასევე ბიზნესის სკოლაში მოქმედი მრჩეველთა საბჭო. ამასთან, დასაქმებისათვის საჭირო ტრანსფერული, ტექნიკური და პრაქტიკული უნარების გამოვლენის მიზნით, გაანალიზდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა“, რამაც შესაძლებელი გახადა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაახლოება.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების კომპლექსურობა და მრავალფეროვნება ხელს უწყობს სტუდენტებში ბიზნეს კონტექსტისა და არამარტო მისთვის შესაბამისი პრობლემური სიტუაციების ანალიზის: მიზეზებისა და შესაძლო შედეგების განსაზღვრის, შეფასების და მათი გადაჭრისათვის საჭირო გზებისა და რეკომენდაციების შემუშავების უნარების განვითარებას. სტუდნეტს საშუალება ეძლევა თავად აკონტროლოს საკუტარი

სწავლის შედეგები და დაგეგმოს მათი გაუმჯობესების გზები. აკადემიურ მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება სისტემა „არგუსის“ მეშვეობით ავტომატურ რეჟიმში, რაც აადვილებს მონაცემთა ანალიზს როგორც კურსის ლექტორისთვის, ასევე სკოლის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს და მოიცავს პროგრამით გათვალისწინებული რელევანტურ ცოდნასა და უნარებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *საგანმანათლებლო პროგრამა;* • *პროგრამის კომპეტენციების რუკა;* • *მრჩეველთა საბჭოს ფოკუს ჯგუფის ანგარიში;* • *კურსდამთავრებულთა კვლევა;* • *სტუდენტების დასაქმების კვლევა;* • *სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი კურსდამთავრებულთა შორის;* • *პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;* • *სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;* • *სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;* • *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა“;* • *თვითშეფასების ანგარიში;* • *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;* • *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან* • აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ბიზნესის სკოლას შემუშავებული აქვს პროგრამის თითოეული შედეგის პერიოდული შეფასების გეგმა, რომელიც ერთიმხრივ, ითვალისწინებს და ეყრდნობა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს: პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით თითოეული კომპეტენციის გაზომვას, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეული პერიოდულობით თითოეულ თემატურ ბლოკში შემავალ კურსთა მიხედვით, სტუდენტების აკადემიური მიღწევის საშუალოს გაანგარიშებას. ამ გზით, ბიზნესის

სკოლა ყოველი საანგარიშო წლის დასასრულს დაადგენს განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესაბამისობის პროგრესიას.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	x			

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის

მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.სამაგისტრო პროგრამაზე: "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი" მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისა და შერჩევის საფუძველზე.შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა გულისხმობს სტუდენტის რეზიუმეს, თეორიული ცოდნისა და პრობლემის გადაჭრის უნარის (ქეისის ანალიზი) და ინგლისური ენის შესაბამისი (B2 დონე) კომპეტენციის ფლობის შემოწმებას (წაკითხულის გააზრება). პროგრამში მიღების წინაპირობაში მითითებულია, რომ 'პროგრამაზე სწავლების უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის (სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო ბიზნესის, ეკონომიკის ან მედიცინის მიმართულებით) მქონე პირს". უნდა აღინიშნოს, რომ მედიცინა არ წარმოადგენს საბაკალავრო საფეხურს და ერთსაფეხურიანი მაგისტრთან გათანაბრებული დონეა. ამიტომ სასურველია არსებული ჩანაწერის დაკორექტირება. ხარისხის პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებიულვა ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ცნობარში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.iliauni.edu.ge.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *საგანმანათლებლო პროგრამა;* • *საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დოკუმენტი;* • *ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტშისტუდენტის/პროფესიული სტუდენტისსტატუსისმარეგულირებელიწესი;* • *პროგრამაზე მიღების კვლევა;* • *თვითშეფასების ანგარიში* • *ინტერვიუხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან* • *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამში მიღების წინაპირობაში მითითებული ფორმულირების 'პროგრამაზე სწავლების უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის (სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო ბიზნესის, ეკონომიკის ან მედიცინის მიმართულებით) მქონე პირს" დასაკორექტირბელია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს 2011 წელს აკრედიტირებული პროგრამის მოდიფიცირებულ ვარიანტს, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. პროგრამის მოდიფიცირების, დახვეწის და განვითარების პროცესში გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. კერძოდ, გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები, რომელიც მოიცავს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და მასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 120 კრედიტი, სადაც • **სავალდებულო კურსების ბლოკი - 60 კრედიტი** • **არჩევითი კურსების ბლოკი - 30 კრედიტი**

- **სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი - 30 კრედიტი**

სწავლების ბოლო სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროექტზე/ნაშრომზე მუშაობას, რომლის ფარგლებში პრაქტიკული კვლევის საფუძველზე სტუდენტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ჯანდაცვის სფეროს პოლიტიკასა და მენეჯმენტში არსებულ აქტუალურ საკითხებს და ახორციელებს პროექტს, რომელიც ორიენტირებულია უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით პრობლემის კონტექსტის შესწავლასა და ანალიზზე, პრობლემის გადაჭრის ალტერნატივებისა და ეფექტური ინტერვენციების განსაზღვრაზე, რეკომენდაციების ჩამოყალიბებასა და შედეგების პროგნოზირებაზე.
სპეციალობის სავალდებულო კურსების კომპონენტი – ორიენტირებულია ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მიმართულებით არსებული თეორიებისა და პრინციპების, დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ–ჩვევების გამომუშავებაზე, ხოლო არჩევითი კურსები – ხელს უწყობს სპეციალობისათვის საჭირო ცოდნისა და პრაქტიკული უნარ–ჩვევების განმტკიცებას.
პროგრამის კომპონენტების სწავლების მეთოდები და კრედიტების რაოდენობა სრულადაა ასახული პროგრამის არქიტექტურასა და შემადგენელი კომპონენტების აღწერაში.
პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს რუკა, რომელიც ადგენს პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის კორელაციას.

პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია. სასწავლო კურსების უმრავლესობას არ გააჩნია დაშვების წინაპირობა. პროგრამის კომპონენტები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს, ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევაზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
უნივერსიტეტის ხარსიხის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამის სასწავლო კურსები აგებულია ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის და ცოდნის დაშენების პრონციპით.
აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასურველი იქნებოდა პრერეკვიზიტის (დაშვების წინაპირობის) არსებობა. მაგალითად, საგანი ჯანდაცვის პროგრამების დაგეგმარება, იმპლემენტაცია და შეფასება ისწავლება პირველი წლის მეორე სემესტრში და რამოდენიმე ლექციაზე ფარავს კვლევის მეთოდების საკითხებს (კურსის სილაბუსის მიხედვით, თვისობრივი და რაოდენობრივი მიდგომების გამოყენება საჭიროებათა შეფასებისთვის, მონაცემთა შეგროვება, გაზომვა და ა.შ.) რაც ისწავლება მეორე წლის პირველ სემესტრში: მიუხედევად იმისა, რომ აღნიშნული საგანი არ გულისხმობს კვლევის მეთოდების შესწავლას („სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ჯანდაცვითი პროგრამების დაგეგმვისთვის ჩასატარებელი კვლევების, პროგრამის სტრუქტურის, იმპლემენტაციის პროცესის, შეფასების, მონიტორინგის და მართვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ“) და ორიენტირებულია შედეგების გამოყენებაზე, მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროგრამაში ან „კვლევის მეთოდები“ იყოს პრერეკვიზიტი, ან კვლევის მეთოდების შესწავლის შემდეგ მოხდეს საგნის გავლა. ამასთან, სილაბუსში ჯანდაცვითი პროგრამების დაგეგმარება, იმპლემენტაცია და შეფასება სწავლის შედეგები
გულისხმობს „პროგრამის ფორმირების, განვითარების და შეფასების ეტაპებზე რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების ანალიზსა და ინტერპრეტაციას“, რაც რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების შესწავლის შემდეგ უფრო

მიღწევადი შედეგი იქნება .
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *საგანმანათლებლო პროგრამა სილაბუსები, პროგრამის რუკა;* • *ილიას სახელმწიფო უნივერიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;* • *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;* • *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი;* • *ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;* • *პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;* • *თვითშეფასების ანგარიში* • *ინტერვიუ დამსაქმებლებთან* • *ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან*
რეკომენდაციები: ✓ სასურველია საგნებს გააჩნდეთ დაშვების წინაპირობა, ვინაიდან პროგრამა აგებულია ცოდნის დაშენების პრინციპზე და სასწავლო კურსები არ წარმოადგენენ იზოლირებულ სასწავლო კურსებს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია საგნების განაწილების ლოგიკური თანმიმდევრობა ისე იყოს დალაგებული, რომ გამორიცხავდეს სხვადასხვა კურსების სწავლების პროცესში საკითხების გადაფარვას. .
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, პროგრამა თავისი სტრუქტურით: მოდულებით, სწავლების მეთოდებითა და რესურსებით იმგვარადაა ორგანიზებული, რომ შესაძლებელს ხდის სტუდენტს განუვითაროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა დარგობრივი (თეორიული თუ პრაქტიკული) და ზოგადი კომპეტენცია. აღსანიშნავია, რომ ყველა სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია. მოწვეულ პერონალთან გასაუბრებისას გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიძლებოდა ზოგიერთი სასწავლო კურსის კრედიტების სხვაგვარი გადანაწილება და არჩევითი კურსების სავალდებულო საგნებად გადმოტანა.
უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი სწავლის შედეგების მიღწევისთვის პროგრამას უზრუნველყოფს სასწავლო რესურსებით, ბიბლიოთეკაში არსებულითითოეული სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული ლიტერატურითა და სხვა მასალით, რომლებიც წარმოადგენს სფეროსათვის აქტუალურ, რელევანტურ და საერთაშორისო ბიზნეს გარემოში მიმდინარე თანამედროვე გამოწვევებისა და მიღწევების ამსახველ მასალას, თუმცა ზოგიერთ სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურაში არ არის მითითებული თანამედროვე მასალები(მაგ:„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“). კურსის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას გაიზიარა ექსპერტების მოსაზრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *საგანმანათლებლო პროგრამა;*
- *პროგრამის კომპეტენციების რუკა;*
- *სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევები;*
- *კურსების შეფასების კითხვარი;*
- *ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;*
- *ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;*
- *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან;*
- *თვითშეფასების ანგარიში;*

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სილაბუსებში სასურველია მიეთითოს თანამედროვე ლიტერატურა, გადაიხედოს სასწავლო კურსების კრედიტების განაწილება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა გარდა დარგისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნისა, ორიენტირებულია პრაქტიკული/კვლევითი უნარების განვითარებაზე. პრაქტიკული კომპონენტი ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე.

შემადგენელი სასწავლო კურსების ლოგიკური ერთობლიობა განაპირობებს, როგორც ღრმა თეორიული ცოდნის მიღებას, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამავდროულად პროგრამა მოიცავს მნიშვნელოვან კვლევით კომპონენტს სამაგისტრო ნაშრომის სახით. პროგრამა იმგვარად არის აგებული, რომ მაგისტრს თეორიული ცოდნის პარალელურად უმუშავებს პრაქტიკულ და კვლევით უნარ-ჩვევებს. აღნიშნული პრაქტინული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებშიკონკრეტული პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების შესრულებით. სტუდენტები გადიან პრაქტიკას სხვადასხვა ორგანიზაციებში, სადაც მათ ეძლევათ კონკრეტული პრაქტიკული სამუშაო. ხსენებული კომპონენტები ემსახურება სტუდენტის აღჭურვას თანამედროვე ბიზნეს გარემოში ადაპტირებისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და ხელს უწყობს მათ ჩამოყალიბებას შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრად. სამაგისტრო პროექტის და ნაშრომის მიზანია, სტუდენტს განუვითაროს ჯანდაცვის მენეჯმენტთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემის დამოუკიდებლად განსაზღვრის, უახლესი მეთოდების გამოყენებით კონტექსტის შესწავლის, შეფასებისა და მისი ეფექტური გადაჭრისათვის შესაბამისი რეკომენდაციებისა და ინტერვენციების განსაზღვრის უნარები. სასწავლო კურსების შეფასებით გათვალისწნებული პრაქტიკული პროექტები ან/და სამაგისტრო კვლევები ხორციელდება როგორც უნივერსიტეტისა და ბიზნესის სკოლის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით განსაზღვრულ წამყვან ორგანიზაციებში, ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ბაზაზე არსებულ პრეაქსელერატორ**Zoom-out-სა** და სამეწარმეო ინოვაციების ლაბორატორია **FabLab**-ის ბაზაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გამოიყენება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის: • ინტერაქტიული ლექციები და სემინარები; • ვერბალური და წერითი მეთოდი; • მასტერკლასები; • შემთხვევის ანალიზი; • პროექტები; • დისკუსია/დებატები; • ჯგუფური (collaborative) მუშაობა; • თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; • პროექტებზე/პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; • გონებრივი იერიში (Brainstorming), რეფლექსია; • როლური და სიტუაციური თამაშები/სიმულაციები; • დემონსტრირების მეთოდი; • მოდელირება; • ლაბორატორიული მუშაობა; • პრაქტიკული მუშაობა; თითოეული კომპონენტის შესაბამის სილაბუსში/კონცეფციაში მითითებულია გამოყენებული სწავლების მეთოდები . აღსანიშნავია, რომ გამოყენებული მეთოდები იძლევა შესაძლებლობას, რომ სწავლების პროცესში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები. სილაბუსებში არ არის ასახული პროგრამაში მითითებული სწავლის მეთოდები, მაგ. პრობლემაზე დაფუძნებული

სწავლება და ლაბორატორიული მუშაობა. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • *საგანმანათლებლო პროგრამა,* • *სილაბუსები* • *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები.* • *სისტემა „არგუსი“.* • *კურსების შეფასების ინსტრუმენტი;* • *სერვისების კვლევა (სტუდენტები);* • *თვითშეფასების ანგარიში* • *ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან* • *ინერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან* • *ინტერვიუ სტუდენტებთან*
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

